საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3741
19/05/2023

3741-21-2-202305191750

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მილსადენის კომპანია (საქართველო)-ს
მის: ქ. თბილისი, იალბუზის ქუჩა 14
ელ-ფოსტა: laitn0@bp.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3308 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ციხისჯვარში მდ. ოშორას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გრაფიკულ ნაწილში წარმოდგენილ 1-1 - 7-7 განივ კვეთებზე ნაპირსამაგრი ნაგებობის თხემის ნიშნული უფრო დაბლაა ვიდრე საანგარიშო დატბორვის დონე. ამდენად, ამ უბნებზე, საანგარიშო წყალდიდობის დროს, მოსალოდნელია ტერიტორიის დატბორვა;
- მრუდხაზოვან უბანზე კალაპოტის მაქსიმალური წარეცხვის სიღრმის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ფერდობის საპროექტო დახრილობა;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მდ. ოშორაში თევზი არ ბინადრობს და არ არის წარმოდგენილი საქვირითე ადგილები. გარდა ამისა, პროექტის მიხედვით მოხდება მდინარის ნაკადის დროებით კალაპოტში გადატანა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მდ. ოშორაში გავრცელებულ წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე, მათზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებებზე;
- დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ექსკავირებული გრუნტის შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო